კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2022 წლის 16 დეკემბერი

ქ. კასპი

კასპის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
დამტკიცდეს კასპის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.
მუხლი 2
ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,კასპის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №21 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 20/12/2021; 190040000.35.149.016462).
მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შოთა ბეგლარაშვილი**

დანართი №1

კასპის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი

ეს წესი განსაზღვრავს კასპის მუნიციპალიტეტის (შემდგომში-მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, აგრეთვე კასპის მუნიციპალიტეტში დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხასა და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

თავი I
სოციალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიები და დახმარების მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი 1. ონკოლოგიური ავადმყოფის სამედიცინო და მედიკამენტოზური დახმარება
1. ამ მუხლით დახმარებას მიიღებს ონკოლოგიური ავადმყოფი:
ა) ოპერციული მკურნალობისთვის;

ბ) სხვა სამედიცინო მომსახურებისთვის;

2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან, მათ შორის აფთიაქიდან;

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი სახელმწიფო პროგრამით ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. ბენეფიციარს 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით - ოპერაციისა და სხვა სამედიცინო მომსახურებისთვის დახმარება გაეწევა თითოეულ შემთხვევაში მოთხოვნილი თანხის დაფინანსებით, წლიური ლიმიტის, 1000 ლარის ამოწურვამდე.

5. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

6. ბენეფიციარს შუძლია ისარგებლოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ორივე ქვეპუნქტით.

მუხლი 2. კიბოსწინარე დაავადებით დაავადებულთა ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება

1. დაფინანსება მოხდება ერთჯერადად პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა.

2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან.

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარი) მკურნალობის თანადაფინასება

1. დაფინანსება მოხდება ერთჯერადად პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 700 ლარისა.

2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან.

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარმა წარმოადგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან უარი დაფინანსების თაობაზე, მისი დაფინანსება მოხდება მოთხოვნილი თანხის 50%-ით, არა უმეტეს 1000 ლარისა.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

5. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ნეიროქირურგიული და ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული ოპერაციები და ამ ოპერაციებთან დაკავშირებული შიდა საფიქსაციო მოწყობილებების ამოღება

1. დაფინანსდება:

ა) ნეიროქირურგიული და ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული ოპერაციები;

ბ) ამ ოპერაციებთან დაკავშირებული შიდა საფიქსაციო მოწყობილობების ამოღება;

2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან.

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. ბენეფიციარს უფლება აქვს ისარგებლოს ერთჯერადად ამ მუხლის 1-ლი პუნქტის როგორც „ა“, ასევე „ბ“ ქვეპუნქტებით. „ა“ და „ბ“ თითოეული ქვეპუნქტით სარგებლობისას დაფინანსება მოხდება პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა;

4. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარმა წარმოადგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან უარი დაფინანსების თაობაზე, „ა“ და „ბ“ თითოეული ქვეპუნქტით სარგებლობის დაფინანსება მოხდება მოთხოვნილი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 700 ლარისა.

5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

6. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. კუჭის რეზექცია და გასტრექტომია

1. დაფინანსება მოხდება ერთჯერადად საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი თანხის 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 3000 ლარისა.

2.ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ)ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან.

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 6. 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონარული მომსახურების დაფინანსება

1. დაფინანსება მოხდება ერთჯერადად პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის დაფინანსებით: 300 ლარამდე სრულად, ხოლო 301-ლარიდან 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა;

2. ბენეფიციარის ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) პაციენტის დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. კარდიოქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება

1. დაფინანსება მოხდება ერთჯერადად პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 1000 ლარისა.

2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი სახელმწიფო პროგრამით ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 8. თვალის ოპერაციის, თვალის ინექციის და მაკულის ასაკობრივი დეგენერაციის მკურნალობის დაფინანსება

1. დაფინანსება მოხდება:

ა) თვალის ოპერაციის თანადაფინანსებით;

ბ) თვალის ინექციის დაფინანსებით;

გ) მაკულის ასაკობრივი დეგენერაციის მკურნალობის დაფინანსებით;

2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი სახელმწიფო პროგრამით ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. ბენეფიციარს უფლება აქვს ისარგებლოს ერთჯერადად ამ მუხლის 1-ლი პუნქტის როგორც „ა“ , ასევე „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით. „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით სარგებლობისას დაფინანსება მოხდება პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის დაფინანსებით: 300 ლარამდე სრულად, ხოლო 301-ლარიდან 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით სარგებლობისას დაფინანსდეს თვალის ერთი ინექცია ერთჯერადად არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით;

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ბენეფიციარმა წარმოადგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ან/და სადაზღვევო კომპანიიდან უარი დაფინანსების თაობაზე, მისი დაფინანსება მოხდება მოთხოვნილი თანხის 300 ლარამდე სრულად, ხოლო 301-ლარიდან 70%-ით, არაუმეტეს 500 ლარისა.

5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების ან აფთიაქის მიერ გაცემული ხარჯთაღრიცხვის ან/და კალკულაციის ან/და სხვა დოკუმენტის მიხედვით, შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

6. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 9. ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება

1. ოპერაციული მკურნალობისთვის (გარდა საკეისრო კვეთის, ესტეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მომსახურებისა, პლასტიკური ქირურგიისა) ერთჯერადად დახმარებას მიიღებს ბენეფიციარი, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ.
2. ამ მუხლით ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად მოთხოვნილი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა.

3. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე)ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) უარი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

4.ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

5. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 10. სიმსივნით დაავადებულ პირთა კონსულტაცია (ერთი), კვლევები, მანიპულაციები და პროცედურები

1. ამ მუხლით ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ დაუფინანსებელი კონსულტაციისთვის (ერთი), კვლევებისთვის, მანიპულაციებისთვის და პროცედურებისთვის: 300-ლარამდე სრულად, ხოლო 301-ლარიდან 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა;
2. ამ მუხლით დახმარების მიმღებმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) უარი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

მუხლი 11. სამედიცინო (ამბოლატორიული, სტაციონარული და მათ შორის დღის სტაციონარი) მომსახურების თანადაფინასება

1. ამ მუხლით ერთჯერადად დახმარების მიმღები არის ბენეფიციარი (მათ შორის ონკოლოგიური), რომელსაც ამოწურული აქვს სამედიცინო მომსახურებისთვის გათვალისწინებული ლიმიტი.
2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ავადმყოფის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან.

ვ) ცნობა, რომელიც ადასტურებს ლიმიტის ამოწურვას.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად პაციენტის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50%-ით, თანადაფინანსებით არუმეტეს 1000 ლარისა.

5. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 12. კომპიუტერული ტომოგრაფიის, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) კვლევის, სცინტიგრაფიის, კოლონოსკოპიის დაფინანსება

1. ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად (ერთი ან რამდენიმე ორგანოს, რომელიც აღნიშნულია ერთ ფორმა №100-ში) კომპიუტერული ტომოგრაფიის, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) კვლევის, სცინტიგრაფიის, კოლონოსკოპიისათვის მოთხოვნილი თანხის 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა;
2. ბენეფიციარი, რომელიც არის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65001-მდე ამ მუხლით დახმარებას მიიღებს 300 ლარამდე სრულად, ხოლო 301-ლარიდან 70% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა;

3. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) პაციენტის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე)ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით მოსარგებლე ბენეფიციარი წარმოადგენს ამონაწერს სსიპ. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია.

ზ) ონკოლოგიური პაციენტის შემთხვევაში უარი საყოველთაო ჯანდაცვიდან ან კერძო სადაზღვევო კომპანიიდან კვლევის (კვლევების) დაფინანსების თაობაზე.

4. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

5. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 13. კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია, ემბოლექტომია, ემბოლიზაცია, სისხლძარღვების სტენტირება, შუნტირება, სისხლძარღვების პლასტიკა, რეზექცია, ლიგირება

1. თანადაფინანსება მოხდება ერთჯერადად, პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50% თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 ლარისა:
2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) პაციენტის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან;

ვ) უარი ან დაფინანსების ფურცელი (გარდა კორონაროგრაფიისა) სახელმწიფო პროგრამით ან სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე ან/და შესაძლებელია იგივე მონაცემები წარმოდგენილი იყოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში.

3. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

4. დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია აგრეთვე სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 14. უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა

1. ამ მუხლით დახმარებას მიიღებენ :
ა) ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები;

ბ) ბრონქიალური ასთმით და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით დაავადებული პაციენტები;

გ) პარკინსონით დაავადებული პაციენტები;

დ) გლაუკომით დაავადებული პაციენტები;

ე) ფსორიაზით დაავადებული პაციენტები;

ვ) ვიტილიგოთი დაავადებული პაციენტები;

ზ) იქტიოზით (იხტიოზი) დაავადებული პაციენტები;

თ) გულის უკმარისობით (III - IV სტადია) დაავადებული პაციენტები;

ი) ღვიძლის დაავადებებით დაავადებული პაციენტები;

კ) თირკმელების ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტები;

ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით. დასაფინანსებელი მედიკამენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ექვსი თვისათვის განკუთვნილ ნორმას.

2. კარდიოქირურგიული ოპერაცია, მწვავე ინფარქტი, მწვავე ინსულტის (თავის ტვინის იფარქტი) შემდგომ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით. განცხადება თანდართული დოკუმეტებით ბენეფიციარმა უნდა წამოადგინოს სამედიცინო დაწესებულების დატოვებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

3. ონკოლოგიური პაციენტის სიმპტომური მკურნალობა. ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით.

4. სოციალურად დაუცველ პენსიონერ ბენეფიციარს, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 65 001-მდე, მედიკამენტური დახმარება გაეწევა ერთჯერადად არაუმეტეს 50 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულმა პაციენტმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა #100;

ე) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი აფთიაქიდან;

ვ) ამ მუხლის მე-4 პუნქტით მოსარგებლე ბენეფიციარი წარმოადგენს ამონაწერს სსიპ. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით შესაბამსი ანგარიშსწორების ანგარიშზე.

მუხლი 15. სტაციონარში ხანგრძლივად მყოფი ბენეფიციარის ერთჯერადი სოციალური დახმარება

1. ამ მუხლით ერთჯერადად დახმარებას მიიღებს სტაციონარში ხანგრძლივად (ერთი თვეზე და მეტი) მყოფი ბენეფიციარის ოჯახის წევრი 1000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლით დახმარების მიმღებმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სტაციონარში მყოფი ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ვ) ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 16. დაავადებულ პირთა დახმარება

1. ცერებრალური დამბლით, პარაპლეგიით, ტეტრაპლეგიით, პარაპარეზით, ტეტრაპარეზით, არასრული ოსტეოგენეზით, ოსტეომალაციით, კახექსია მძიმე ფორმით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, გონებრივი ჩამორჩენილობით, განვითარების ეტაპების დაყოვნებით, სმენის ორმხრივი დაქვეითებით III ხარისხიდან, ეპილეფსიით, ფსორიაზით, ფენილკეტონურიით, ცელიაკიით, ჰიდროცეფალიით, მიკროცეფალიით, სპინალური ამიოტროფიით, სპინო-ცერებრალური ატაქსიით, სირინგომიელიით; ოსტეომიელიტით, ცერებრო-სპინალური ფორმით, სპონდილოართრიტით, ორმხრივი ნეოართროზით და სისტემური დაავადებებით (კოლაგენოზები და ვასკულიტები), სქოლიოზით IV ხარისხის, 0-დან 18-წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული), ალცჰაიმერით, ცისტური ფიბროზით, ქონდროდისტროფია, ქონდრისკაცობა (ნანიზმი) დაავადებულ პირებზე სოციალური დახმარება გაიცემა ერთჯერადად 400 ლარის ოდენობით;

2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა (მშობელი, მშვილებელი, მეურვე/მხარდამჭერი, მზრუნველი ან ნდობით აღჭურვილი პირი) ან მინდობილმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (ან პირადობის მოწმობა);

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100) ან/და შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საბანკო ანგარიში;

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებს ბენეფიციარი, მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი ან კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მშვილებელი, მეურვე/მხარდამჭერი, მზრუნველი ან ნდობით აღჭურვილი პირი) პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 17. დაავადებულ პირთა სარეაბილიტაციო დახმარება

1.ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებს ცერებრალური დამბლით, პარაპლეგიით, ტეტრაპლეგიით, პარაპარეზით, ტეტრაპარეზით, არასრული ოსტეოგენეზით, ოსტეომალაციით, კახექსია მძიმე ფორმით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, გონებრივი ჩამორჩენილობით, განვითარების ეტაპების დაყოვნებით, სმენის ორმხრივი დაქვეითებით III ხარისხიდან, ეპილეფსიით,

ფსორიაზით, ცელიაკიით, ფენილკეტონურიით, ჰიდროცეფალიით, მიკროცეფალიით, სპინალური ამიოტროფიით, სპინო-ცერებრალური ატაქსიით, სირინგომიელიით; ოსტეომიელიტით, ცერებრო-სპინალური ფორმით, სპონდილოართრიტით, ორმხრივი ნეოართროზით და სისტემური დაავადებებით (კოლაგენოზები და ვასკულიტები), სქოლიოზით IV ხარისხის, 0-დან 18-წლამდე ასაკის არაორგანული ენურეზით დაავადებული პირები;
2. ერთ ბენეფიცარზე რეაბილიტაციისთვის მომსახურებისთვის განკუთვნილია 1000 ლარი მის სრულად ამოწურვამდე;

3. ბენეფიციარს უფლება აქვს რეაბილიტაციის კურსი ჩაიტაროს თავისი ან თავისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში, სარეაბილიტაციო ცენტრში, საქართველოს კურორტებზე არსებულ სასტუმროებში.

4. საკურორტო რეაბილიტაციის შემთხვევაში სასტუმროში ბენეფიცარის დაფინანსება მოხდება მის კანონიერ წარმომადგენელთან ან/და მშობელთან ან/და ოჯახის წევრთან ერთად.

5. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან/და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100), სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;

ვ) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებიდან ან/და სარეაბილიტაციო ცენტრიდან;

ზ) საკურორტო რეაბილიტაციის შემთხვევაში ბენეფიციარის, მისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ არჩეული სასტუმროს რეკვიზიტები;

6. საკურორტო რეაბილიტაციის შემთხვევაში თანხის გადარიცხვა მოხდება სასტუმროდან წარმოდგენილი შესრულებული ფაქტიური ხარჯის მიხედვით;

7. ცელიაკიით და ფენილკეტონურიით დახმარების მიმღები თუ ისარგებლებს მე-17 მუხლით ვეღარ ისაგებლებს მე-18 მუხლით გათვალისწინებული დახმარებით.

მუხლი 18. ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება
1. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებული პირი სპეციალური კვებისთვის 1000 ლარის ოდენობით;
2. ერთ ბენეფიცარზე კვების მომსახურება განსაზღვრულია 1000 ლარით მის სრულად ამოწურვამდე;

3.ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან/და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

ვ) ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი;

1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამის ანგარიშწორების ანგარიშზე.
2. ცელიაკიით და ფენილკეტონურიით დახმარების მიმღები თუ ისარგებლებს მე-18 მუხლით ვეღარ ისაგებლებს მე-17 მუხლით გათვალისწინებული დახმარებით.

მუხლი 19. თირკმლის უკმარისობით (დიალიზი) დაავადებულ პაციენტთა დახმარება

1. ამ მუხლით ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 800 ლარის ოდენობით.
2.დახმარების მიმღებმა ან მისმა ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ)ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში;

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

4. საგანგებო, განსაკუთრებული, ან/და პანდემიის მდგომარეობების დროს რაც იწვევს საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვას თირკმლით უკმარისობით დაავადებულ (ჰემოდიალიზი) თითოეულ ბენეფიციარს არსებული მდგომარეობის დასრულებამდე თვეში ერთხელ ტრანსპორტირებისთვის ჩაერიცხოს დახმარება 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 20. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება

1. ერთჯერადი დახმარება გაეწევათ მხედველობით I ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათ შორის 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან ბავშვებს 500 ლარის ოდენობით.
2. ბენეფიციარმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა (მშობელი, მშვილებელი, მეურვე/მხარდამჭერი, მზრუნველი ან ნდობით აღჭურვილი პირი) ან მინდობილმა პირმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) დახმარების მიმღების საბანკო ანგარიში, არასრულწლოვანის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის, მეურვის ან მზრუნველის პირადი საბანკო ანგარიში;

ვ) ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა (მშობელი, მშვილებელი, მეურვე/მხარდამჭერი, მზრუნველი ან ნდობით აღჭურვილი პირი) ან მინდობილმა პირმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს ასევე აღნიშნული უფლების დამადასტურებული დოკუმენტი;

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებს ბენეფიციარი, ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი ან კანონიერი წარმომადგენელი პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 21. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ეტლით დახმარება

1. ეტლის შესაძენად ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათ შორის 18 წლამდე ასაკისას, ეტლის საფასურის 50 %-ით თანადაფინანსებით, არაუმეტეს 200 ლარისა.
2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან შშმ პირის წარმომადგენელმა (მეურვემ/მზრუნველმა) მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ)ბენეფიციარის პირადობის მოწმობა, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (ან პირადობის მოწმობა);

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100);

ე) შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ)ხარჯთაღრიცხვა ან/და კალკულაცია ან/და სხვა დოკუმენტი;

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით წარმოდგელი ხარჯთაღრიცხვის ან/და კალკულაციის ან/და სხვა დოკუმენტის მიხედვით, შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

მუხლი 22. მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება

1. ამ მუხლით გათვალისწინებული სოციალური დახმარება მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები, შეეძინათ მესამე ან მომდევნო შვილი და ერთ-ერთი მშობელი და შვილები რეგისტრირებული არიან და ოჯახით ცხოვრობენ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ოჯახი დახმარებას მიიღებს ახალ შეძენილ თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
2. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) მშობლების (მშობლის) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) შვილების დაბადების მოწმობები და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათები (ან პირადობის მოწმობები);

დ) ქორწინების მოწმობა არსებობის შემთხვევაში;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია დახმარების მიმღები ოჯახის წევრების და საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

5. ამ მუხლით ისარგებლებს 2022 წლის დეკემბრის თვეში დაბადებული ბავშვის ოჯახიც.

6. ამ მუხლით დახმარების მიმღები ვერ ისაგებლებს ამ წესის მე-23 და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული დახმარებით.

მუხლი 23. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

1. ამ დახმარების მიმღები არის ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი 18- წლამდე ასაკის შვილი, ერთ-ერთი მშობელი და შვილები რეგისტრირებული არიან და ოჯახით ცხოვრობენ კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
2. მრავალშვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თითოეულ 18-წლამდე ასაკის შვილზე 100 ლარის ოდენობით.

3. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) მშობლების (მშობლის) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) შვილების დაბადების მოწმობები და არასრულწლოვანების რეგისტრაციის ბარათები (ან პირადობის მოწმობები);

დ) ქორწინების მოწმობა არსებობის შემთხვევაში;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

4. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია დახმარების მიმღები ოჯახის წევრების და საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

6. ამ მუხლით ისარგებლებს 2022 წლის დეკემბრის თვეში დაბადებული ბავშვის ოჯახიც.

7. ამ მუხლით დახმარების მიმღები ვერ ისაგებლებს ამ წესის მე-22 და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული დახმარებით.

მუხლი 24. მარტოხელა მშობლის დახმარება

1. ამ მუხლით გათვალისწინებული სოციალური დახმარება ერთჯერადად მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ მარტოხელა მშობელს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ 18- წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 400 ლარის ოდენობით;
2. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) შვილების დაბადების მოწმობები და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათები (ან პირადობის მოწმობები);

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) ს.ს.ი.პ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან (დეპარტამენტი) გადაწყვეტილება და ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებით;

3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია დახმარების მიმღები ოჯახის წევრების და საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

5. ამ მუხლით დახმარების მიმღები ვერ ისაგებლებს ამ წესის მე-22 და მე-23 მუხლებით გათვალისწინებული დახმარებით.

მუხლი 25. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება
1. ამ მუხლით დახმარებას მიიღებს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები პირი, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით აღიარებული იქნება ოჯახური ძალადობის მსხვერპლად.
2. დახმარება გაიცემა ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით.

3. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 26. დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება
1. ამ მუხლით დახმარება მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ 18-წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვს ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით;
2. ბენეფიციარის მეურვემ/მზურველმა/მხარდამჭერმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (ან პირადობის მოწმობა);

დ) მშობლების გარდაცვალების მოწმობები;

ე) ცნობა სსიპ. სოციალური მომსახურების სააგენტოდან მეურვეობის შესახებ;

ვ) მეურვის/მზურველის/მხარდამჭერის საბანკო ანგარიში;

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 27. 0-დან 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი, 0-დან 18- წლამდე ასაკის მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, 0-დან 18- წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული პირების საკურორტო დახმარება
1. ამ მუხლით დახმარება მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ 0-დან 18-წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ, 0-დან 18-წლამდე ასაკის მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 0-დან 18- წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებულ პირებს.
2. ერთ ბენეფიციარზე საკურორტო მომსახურება განკუთვნილია ერთჯერადად არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

3. დახმარების მიმღებს უფლება აქვს ისარგებლოს მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ შერჩეულ საქართველოს კურორტებზე არსებულ სასტუმროებში არაუმეტეს 10 დღე-ღამით.

4. ბენეფიციარის დაფინანსება მოხდება მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად.

5. ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან დაბადების მოწმობა და არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (ან პირადობის მოწმობა);

დ) მშობლების გარდაცვალების მოწმობები;

ე) ცნობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მეურვეობის/მზურველობის/მხარდამჭერობის შესახებ;

ზ)მხედველობით შშმ პირის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების დამდასტურებელი დოკუმენტი;

თ) დიაბეტით დაავადებულმა პირებმა უნდა წარმოადგინოს ფორმა N100;

ი)დახმარების მიმღების მიერ არჩეული სასტუმროს რეკვიზიტები და ინვოისი;

6. თანხის გადარიცხვა მოხდება სასტუმროდან წარმოდგენილი შესრულებული ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

მუხლი 28. სტუდენტების დახმარება

1. ამ მუხლით დახმარება ერთჯერადად გაეწევა სტუდენტს, რომელიც სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი), არ სარგებლობს სხვა სახელმწიფო პროგრამით (გარდა ერთიანი ეროვნულ გამოცდების შედეგად მიღებული გრანტისა) და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არის დედ-მამით ობოლი;

ბ) არის მარჩენალდაკარგული მრავალშვილიანი (3 და მეტი შვილი) ოჯახიდან;

გ) არის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და ოჯახს მინიჭებული აქვს 0-დან 65 001-მდე სარეიტინგო ქულა;

2. ამ მუხლით ასევე ისარგებლებს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის მოთხოვნებიდან ერთ-ერთს მაინც და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

3. სტუდენტმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა და ანგარიშ-ფაქტურა (ან სხვა დოკუმენტი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი).

დ) ცნობა ან/და ინფორმაცია შესაბამისი დაწესებულებიდან მასზე სახელმწიფო დაფინანსების არარსებობების შესახებ;

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაფინანსების შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი, რომელშიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მითითებული იქნება კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია;

4. დაფინანსება განისაზღვროს 500 ლარით.

5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი) გაცემული ანგარიშ-ფაქტურის ან/და სხვა დოკუმენტის მიხედვით.

მუხლი 29. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სურსათით დახმარების პროგრამა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადააადგილებული ოჯახებისთვის

1. აღნიშნული კატეგორია დახმარებას - სასაჩუქრე პაკეტს მიიღებს ერთჯერადად, 2023 წლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით.
2. სასაჩუქრე ვაუჩერის ღირებულებაა 90 ლარი.

3. დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა) იძულებით გაადადგილებული პირის - დევნილის მოწმობა;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4. ოჯახების რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სიებით.

მუხლი 30. კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები ასი და ას წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება

1. აღნიშნული კატეგორია დახმარებას მიიღებს ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით.
2. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დახმარების მიმღების პირადი საბანკო ანგარიში;

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას ბენეფიციარი მიიღებს წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 31. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარება

1. სოციალური დახმარება მიეცემა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ფაშიზმზე გამარჯვების დღისთვის, 9 მაისისთვის, ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით.
2. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოძიებული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელსაც გასცემს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

მუხლი 32. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დახმარება

1. ამ მუხლით დახმარების მიმღებია კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირი.

2. დახმარება გაიცემა ერთჯერადად 700 ლარის ოდენობით.

3.მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საქართველოს სამხედრო ძალებისა და ომის ვეტერანის მოწმობა;

დ) პირადი საბანკო ანგარიში;

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას ბენეფიციარი მიიღებს წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 33. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ შშმ პირთა საკურორტო დახმარება

1. ამ მუხლით დახმარების მიმღები არიან კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები.

2. ერთ ბენეფიცარზე საკურორტო მომსახურება განკუთვნილია ერთჯერადად არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

3. ბენეფიციარს უფლება აქვს ისარგებლოს მის მიერ შერჩეულ საქართველოს კურორტებზე არსებულ სასტუმროებში არაუმეტეს 10 დღე-ღამით.

4. ბენეფიციარმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საქართველოს სამხედრო ძალებისა და ომის ვეტერანის მოწმობა;

დ) ბენეფიციარის მიერ არჩეული სასტუმროს რეკვიზიტები და ინვოისი;

5. თანხის გადარიცხვა მოხდება სასტუმროდან წარმოდგენილი შესრულებული ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

მუხლი 34. ხანძრის შედაგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ოჯახის დახმარება (მოსარგებლეზე არ ვრცელდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის აუცილებლობა)

1. ხანძრის შედაგად კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაზარალებულ ოჯახებს მიეცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება დამდგარი ზიანის მიხედვით, არაუმეტეს 5 000 ლარისა.

2. მოქალაქემ მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე ზიანის დადგომიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საკუთრების ან და კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ანდერძი, ჩუქება, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა (არსებობის შემთხვევაში), ტექნიკური აღრიცხვის ჩანაწერი პირდაპირი მითითებით, ცნობა საკომლო წიგნიდან) საქართველოს ეროვნულ არქივიდან;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ე) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ქალაქ კასპის სახანძრო-სამაშველო განყოფილებიდან;

ვ) ინფორმაცია შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისგან.

3.ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

4. ზიანის ოდენობას განსაზღვრავს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს საქონლის მოქმედი საბაზრო ფასებით.

5. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება ასევე იმ ოჯახებზე, რომლებიც 2022 წელს ხანძრის შედეგად დაზარალდნენ და არ უსარგებლიათ დახმარებით.

მუხლი 35. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

1. დახმარება გაიცემა:

ა)მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

გ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ომის მონაწილეთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

დ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;

ე) უპატრონო მიცვალებული;

2. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში გარდაცვლილის, იძულებით გადაადგილებულ პირის დევნილის მოწმობა;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ომისა და სამხედრო ძალების გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობა;

ე) გარდაცვალების მოწმობა;

ვ) ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან გარდაცვლილის შესახებ, გარდა პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში.

ზ) დამკრძალავისა და გარდაცვლილის კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;

ი) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ინფორმაცია, დაკრძალვის ხარჯების გამღები პირის შესახებ.

3. თანხა გაიცემა 500 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლით ისარგებლებს 2022 წლის დეკემბრის თვეში გარდაცვლილის დამკრძალავი.

5. ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას განმცხადებელი მიიღებს მის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის ინფორმაციის საფუძველზე, თანხა პირად ანგარიშზე ჩაერიცხება პიროვნებას, ვინც ორგანიზება გაუწია დაკრძალვას.

თავი II
სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 36. დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება

1. სოციალური დახმარების გასაცემად, საჭიროების შემთხვევაში მოქალაქე სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების შესაბამისად ვალდებულია წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.
2. კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის დაკრძალვისთვის დახმარების შემთხვევაში რეგისტრაციის ბარათის წარმოდგენა არ არის სავალდებულო.
3. ამ დებულებით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის წესის ერთჯერადობა არ ვრცელდება 1-ლი, მე-4, მე-8, მე-17 და მე-18 მუხლებზე;
4. საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს დაფინანსების ფურცელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან.

მუხლი 37. სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა

1. კასპის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში-სამსახური).
2. სამსახური პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალური დახმარების მიმღებთა სიების კომპიუტერულ დამუშავებაზე.

3. სამსახური ამოწმებს მუნიციპალიტეტში შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ხოლო შემოსულ განცხადებებში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ მიმართავს განმცხადებელს დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად.

მუხლი 38. სამუშაო ჯგუფის მიერ განცხადებების განხილვა

1. სამუშაო ჯგუფი იქმნება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. სამუშაო ჯგუფს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

2. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფს და უძღვება მის სხდომებს.

3. სამუშაო ჯგუფის მდივანი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ხმის უფლებით მონაწილეობს საკითხის განხილვაში, ასევე იგი პასუხისმგებელია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის შედგენაზე.

4. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის სხდომის მუშაობას უძღვება კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

5. სამუშაო ჯგუფი მისთვის გადაცემულ განცხადებებს განიხილავს კვირაში ერთხელ მაინც.

6. სამუშაო ჯგუფის მუშაობა საჯაროა და მას შეიძლება დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის მასობრივი იფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

7. სამუშაო ჯგუფის უფროსი უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის სხდომის ადგილის, დროისა და თარიღის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის წინასწარ, ერთი დღით ადრე განთავსებას კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 39. სამუშაო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. სამუშაო ჯგუფი მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.
2. სამუშაო ჯგუფის მიერ საკითხის გადაწყვეტა ხდება მკაცრად ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

მუხლი 40. სამუშაო ჯგუფის ოქმები

1. სამუშაო ჯგუფის ყოველი სხდომისას დგება შესაბამისი ოქმი.
2. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის წევრის აზრი დაერთვება ოქმს.

3. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები იკრიბება ცალკე საქაღალდეში რიგითობის მიხედვით.

4. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმების სათანადო წესით შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია სამუშაო ჯგუფის მდივანი.

მუხლი 41. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის საფუძველზე.